პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

18 ივლისი, ხუთშაბათი, 1985 წ. № 137 (8978) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჭაბუკთა I საკავშირო სპორტული თამაშები

საქართველოს სპორტული დელეგაციის მონაგარი:

„ოქრო": ვადიმ რეშეტოვი (მშვილდოსნობა)

„ვერცხლი": არჩილ საბედაშვილი (სასანგრო სტენდზე სროლა)

სტაბილურობას ამას ჰქვია

ჭაბუკთა საკავშირო თამაშებში საქართველოს ნაკრებმა სასანგრო სროლაში VII ადგილი დაიკავა. სპეციალისტთა ვარაუდით, ჩვენს გუნდს უკეთეს ადგილზეც შეეძლო გასვლა, მაგრამ სროლაში, მოგეხსენებათ, პროგნოზების გაკეთება სახიფათო საქმეა, მით უფრო, რომ რესპუბლიკის ნაკრების ორი წევრი — კოტე შევარდნაძე და შალვა ჯინიკაშვილი, რომლებსაც დიდ ტურნირებში არც ისე ხშირად უასპარეზიათ, ტულის სასროლეთზე შესამჩნევად ნერვიულობდნენ.

პირველი ორი დღე, ჩვეულებისამებრ, გუნდურ ბრძოლას დაეთმო. აქ მოსკოვის ნაკრებმა სტაბილური შედეგები აჩვენა და გაიმარჯვა. მერე პირადი შეჯიბრება დაიწყო. ორი დღის შედეგების მიხედვით საქართველოს გუნდის ლიდერი არჩილ საბედაშვილი პირველ ადგილზე იყო. მას 150 შესაძლებლიდან 145 ქულა ჰქონდა მოგროვებული. საბედაშვილს ქულით ჩამორჩებოდნენ მოსკოველები: ლუბომიროვი და კუდიმოვი, აგრეთვე ესტონელი კული და ლიტველი კელა.

მესამე, დასკვნითი დღის პირველი სერია უშეცდომოდ გაიარა კულმა (25-დან 25 სამიზნე). კელამ 24 სამიზნე დაამსხვრია, კუდიმოვმა და საბედაშვილმა — 22-22 და ლუბომიროვმა — 18. როგორც ხედავთ, ჩვენი მსროლელისთვის ეს სერია უიღბლო გამოდგა. არადა სწორედ პირველ სერიაში ნაჩვენებმა შედეგმა განსაზღვრა პირადი ბრძოლის ბედი.

მეორე სერიაში საბედაშვილმა დაკარგულის ანაზღაურება სცადა და კარგადაც ისროლა — 24 ქულა. მაგრამ ასეთივე შედეგი აჩვენეს კულმა და კუდიმოვმაც. 24 დამსხვრეული თეფში სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ესტონელი კულისათვის. მას საბოლოო ჯამში 193 ქულა აღმოაჩნდა, რაც გამარჯვებას ნიშნავდა.

საბედაშვილმა და ლიტველმა კელამ (ამ უკანასკნელს ბოლო სერიაში 22 ქულა ჰქონდა) ერთნაირი ქულები მოაგროვეს — 191 და ამიტომ, დებულების თანახმად, მეორე პრიზიორის გამოსავლენად დამატებითი სერია დაინიშნა. ქართველი მსროლელი ამჯერად უფრო მობილიზებულად და ზუსტად ისროდა. მან 23 სამიზნე დაამსხვრია, კელამ კი მხოლოდ 18. საბედაშვილს ვერცხლის მედალი ერგო, — კელას — ბრინჯაოსი.

ნიჭიერი ქართველი მსროლელის ეს წარმატება ბევრზე მეტყველებს. საქმე ის გახლავთ, რომ მიმდინარე სეზონში საბედაშვილი საკმაოდ სტაბილურად გამოდის (V ადგილი მოიპოვა ევროპის პირად ჩემპიონატში, II ადგილი — ჭაბუკთა თამაშებში). სწორედ ამიტომ შეიყვანეს იგი კვლავ საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატთა სიაში. ეს გუნდი (ისევე როგორც მოზრდილთა ნაკრები) აგვისტოს მიწურულში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც იტალიის საკურორტო ქალაქ მონტე-კატინში ჩატარდება.

არჩილ საბედაშვილი

დაიბადა 1965 წლის 25 აპრილს თბილისში. სამხედრო-სამონადირეო კავშირის წევრი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. სიმაღლე — 179 სმ, წონა — 68 კგ.

მწვრთნელები — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ზურაბ მაჩხანელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ლეონიდ სიმონიანი. სპორტში მეცადინეობა დაიწყო 1978 წელს.

1982 წლიდან სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებშია. პირველ წარმატებას სასანგრო სროლაში მიაღწია 1982 წელს — სსრ კავშირის ახალგაზრდულ პირველობაში 100-დან 88 სამიზნე დააზიანა. ევროპის იუნიორთა წლევანდელ ჩემპიონატში გუნდური ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, პირად ჩათვლაში კი მეხუთე ადგილზე გავიდა. ჭაბუკთა პირველ საკავშირო თამაშებში ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში

ვლადიმერ აფციაური — ბრინჯაოს მედალი

ბარსელონა. მოფარიკავეთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის სპორტსმენებმა პირველი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჯილდო დაისაკუთრა რაპირისტთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ მინსკელი ალექსანდრე რომანკოვი, თბილისელი ვლადიმერ აფციაური, უფელი ანვარ იბრაჰიმოვი და ბაქოელი ბორის კორეცკი. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ჩვენმა გუნდმა დაამარცხა გდრ-ის კოლექტივი 8:7 (რომანკოვმა 3 შეხვედრა მოიგო, აფციაურმა და იბრაჰიმოვმა — 2-2, კორეცკიმ — 1). ოქროს მედლები დაისაკუთრეს იტალიელებმა, რომლებმაც ფინალში გფრ-ის კოლექტივს აჯობეს — 9:6.

ელვა-ინფორმაცია

ჭაბუკთა I საკავშირო სპორტული თამაშები



გუშინ ბრესტში მშვილდოსანთა შეჯიბრებაზე შესანიშნავ გამარჯვებას მიაღწია თბილისელმა ჭაბუკმა ვადიმ რეშეტოვმა, რომელმაც 2561 ქულა დააგროვა და ოქროს მედალი მოიპოვა.

ვადიმ რეშეტოვმა 20-ზე მეტი ქულით გადააჭარბა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს.

„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტები ელგუჯა ბერიშვილი და ავთანდილ ბურასაშვილი კიევიდან გვატყობინებენ:

სინქრონული ცურვა

ყველაფერი ოცნებით იწყება

სინქრონულ ცურვაში შეჯიბრების ბოლო დღეს, როცა ჩვენმა გოგონებმა — იანა ალავიძემ, ეკატერინე არჯევანიძემ, ანჟელა ვოზნიუკმა, ნინო გელაშვილმა, ლელა მამიაურმა, ნინო მაისურაძემ, ელისო მარგველაშვილმა და ხრისტინა ფალასინიდიმ ჯგუფური ფინალური ვარჯიში შეასრულეს, კიევის „დინამოს" საცურაო აუზის ტრიბუნებიდან აღფრთოვანებული შეძახილები და ტაში გაისმა. ასე იყო დილითაც, წინასწარი შეჯიბრების დროს. მაშინ საქართველოსა და ლენინგრადის წარმომადგენლებმა თითქმის ერთნაირი შეფასება დამსახურეს. ნევისპირელთა სასარგებლოდ სულ რაღაც მეასედ ქულებში იყო განსხვავება. თავის მხრივ ლენინგრადელებს მოსკოველებმა და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა აჯობეს.

სინქრონული ცურვის მოსკოველი ოსტატები, როგორც ცნობილია, უდავო ლიდერები არიან საბჭოთა კავშირში და ჯერჯერობით მათ სერიოზულ კონკურენციას ვერავინ უწევს. და თუ ვინმე მაინც ახერხებს ამას, პირველ ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ისევ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები, რომელთა გუნდშიც ძირითადად ელექტროსტალელები თამაშობენ, ელექტროსტალელები კი თავს მოსკოველებად თვლიან და ხშირად დედაქალაქში ვარჯიშობენ.

ასეა თუ ისე, ჩვენი გოგონები ჯგუფურ ვარჯიშში ვერც მოსკოველებს ეცილებიან პირველობას და არც რუსეთის ფედერაციის გუნდისთვის მეორე ადგილის წართმევა გაუვლიათ გულში. ბრინჯაოს მედლებზე კი ოცნებობდნენ და ჰქონ[illegible] [illegible]იდეც საფუძველი. ეს ჩემ-

იხ. მე-2 გვ.

საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა წარმატებები

„სიჭაბუკის" თასი

მახარაძე (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ნახევარფინალური შეჯიბრება „სიჭაბუკის" თასზე. საქართველოს ნაკრებმა ბოლო ორ ტურში გაიმარჯვა ყირგიზეთისა (2:0) და „შრომითი რეზერვების" (5:0) ნაკრებებთან. ჩვენმა ფეხბურთელებმა განვლილ შეჯიბრებაში ხუთივე შეხვედრა მოიგეს, 10 ქულა დააგროვეს (გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდება 20:0), ნახევარფინალურ ტურნირში პირველი ადგილი დაიკავეს და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. მეორე ადგილზე გავიდნენ ლენინგრადელი ფეხბურთელები, რომლებიც ასევე ფინალში ითამაშებენ.

ცალკეულ ფეხბურთელთათვის დაწესებული სპეციალური პრიზები დაისაკუთრეს ლენინგრადის გუნდში მოთამაშე მეკარემ ი. ოქროშიძემ, საქართველოს ნაკრების მცველმა კ. ნადარეიშვილმა. ნახევარმცველთა შორის საუკეთესო იყო თურქმენეთის ნაკრების წარმომადგენელი ბ. ნეჟელევი, ხოლო საუკეთესო თავდამსხმელისა და ბომბარდირის (6 გატანილი ბურთი) პრიზები დაიმსახურა საქართველოს ნაკრების წევრმა გ. გაბისონიამ.

ნიკოლოზ ამირეჯიბი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

ფინალში — ორი გუნდი

25 ივლისს უკრაინის ქალაქ ნიკოპოლში დაიწყება ოლიმპიური რეზერვების მომზადების საფეხბურთო სპეცსკოლების საკავშირო ფინალური გათამაშება 15 წლის ასაკამდე ნორჩ ფეხბურთელთა შორის.

ფინალური ჯგუფის მონაწილეები 2 ქვეჯგუფად არიან დაყოფილი:

I ქვეჯგუფი. „დინამო" (თბილისი), „დინამო" (მოსკოვი), „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „სპარტაკი" (ორჯონიკიძე).

II ქვეჯგუფი. ცსკა, „ტორპედო" (ქუთაისი), „სმენა" (ლენინგრადი), „კოლოსი" (ნიკოპოლი)

„ადიდასის" პრეზიდენტი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა დასავლეთგერმანული ფირმის „ადიდასის" პრეზიდენტი ჰორსტ დასლერი. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ვიზიტის დროს ბატონ დასლერს ექნება შეხვედრები და საუბარი ფირმა „ადიდასის" საბჭოთა და კერძოდ საქართველოს სპორტკომიტეტთან თანამშრომლობის თაობაზე.

— დიდი ხანია ჩემი მეგობრები მეპატიჟებიან საქართველოში — გვითხრა სტუმარმა — მე მოხარული ვარ, რომ ბოლოს და ბოლოს ვისარგებლე ამ თავაზიანი წინადადებით და ვეწვიე ამ მშვენიერ მხარეს. იმედი მაქვს დადებითად მოგვარდება ყველაფერი, რაც ჩვენს მომავალ თანამშრომლობას შეეხება და ერთიანი ძალებით შევძლებთ დავამზადოთ სპორტული პროდუქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭაბუკთა I საკავშირო სპორტული თამაშები

ყველაფერი ოცნებით იწყება

დასასრული

ენა მათ წინასწარმა შეჯიბრებამაც განუმტკიცა.

და აი, მსაჯებმა მათი ფინალური ვარჯიშები 147,13 ბალით შეაფასეს. მერე ლენინგრადელთა ჯერიც დადგა. მათაც კარგად შეასრულეს ვარჯიში. მაყურებელს ჩვენების გამოსვლა უფრო მოეწონა, მაგრამ ვარჯიშის უპირველესი შემფასებლები მაინც არბიტრები არიან. საბოლოოდ ოდნავი სხვაობით დაწინაურდნენ ნევისპირელები.

სხვათა შორის, შეჯიბრების შემდეგ სხვა სპეციალისტებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ჩვენი გოგონები ბრინჯაოს მედლების ღირსნი იყვნენ.

საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა სინქრონულ ცურვაში იგორ ბუგაეცმა ასპარეზობის შემდეგ გვითხრა. საქართველოს ნაკრებს აშკარა პროგრესი ეტყობაო. მანვე გვაცნობა, რომ ხრისტინა ფალასინიდი გოგონათა საკავშირო ნაკრებშია შეყვანილი.

მართლაც, თუ ჩვენი გოგონების დღევანდელ მიღწევებს მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის შედეგებს შევადარებთ, პროგრესი აშკარაა. მოსწავლეთა სპარტაკიადაზე, სადაც გუნდის ახლანდელი შემადგენლობის დაახლოებით 80 პროცენტი გამოდიოდა, საქართველოს წარმომადგენელთაგან ერთეულთა და წყვილთა შეჯიბრების ფინალში არავინ მოხვედრილა. ახლა კი ლელა მამიაურმა, როგორც ვიუწყებოდით, ერთეულებში მეექვსე ადგილი დაიკავა, წყვილთა შეჯიბრებაში კი ფალასინიდისთან ერთად მეხუთე იყო. ჩვენი ნაკრები გუნდურ პირველობაში, მართალია, იმავე მეოთხე ადგილზე დარჩა, მაგრამ წინსვლა მართლაც თვალსაჩინოა. სპეციალისტთა აზრით, წარმატება იმან განაპირობა, რომ რესპუბლიკის ნაკრების უფროს მწვრთნელად მოიწვიეს მოსკოველი სპორტის ოსტატი ნატალია მაშუკი, რომელიც ჩვენს გუნდს თებერვლიდან ჩაუდგა სათავეში.

ჩვენი გოგონებიდან მხოლოდ ალავიძეა განთიადელი, დანარჩენები „კოლმეურნეში" ირიცხებიან. ვოზნიუკი და მარგველაშვილი ქუთაისელები არიან, დანარჩენები — თბილისელები. გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრები მარგველაშვილი და ფალასინიდი თხუთმეტი წლისანი არიან, ხოლო ყველაზე უფროსები — არჯევანიძე, გელაშვილი და მამიაური — ჩვიდმეტისა.

შეჯიბრების დახურვის საზეიმო ცერემონიალზე ჩვენი გოგონები უგვირგვინო დედოფლებს ჰგავდნენ. ვინ იცის, მომავალში იქნებ ის გვირგვინიც დაისაკუთრონ. ყველაფერი ხომ მაინც ოცნებით იწყება...

ახლა კი გაგაცნობთ ჯგუფური შეჯიბრების პრიზიორებს. ესენი არიან: მოსკოვის (160,31 ბალი), რუსეთის ფედერაციისა (156,50) და ლენინგრადის (147,82) გუნდები.

გუნდურ პირველობაში ადგილები ასე განაწილდა: 1. მოსკოვი (1119,21 ბალი), 2. რსფსრ (1086,05), 3. ლენინგრადი (1027,80), 4. საქართველო (1020,14), 5. უკრაინა (1017,03), 6. სომხეთი (936,12), 7. ბელორუსია (936,05), 8. მოლდავეთი (901,73), 9. ყაზახეთი (897,06), 10. უზბეკეთი (881,71).

ელვა-ინფორმაცია

ლენინგრადში დასასრულს უახლოვდება ჭაბუკთა საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ჯგუფური ტურნირები ჭადრაკში. IV ტურში საქართველოს ნაკრები შეხვდა მოლდავეთის გუნდს. ანგარიშია 5:2 ქართველი მოჭადრაკეების სასარგებლოდ, ერთი პარტია გადაიდო. ამ გამარჯვებით საქართველოს ნაკრებმა პრაქტიკულად გაინაღდა ფინალში, თამაშის უფლება (სამი ქვეჯგუფიდან მედლებისთვის ბრძოლას ორ-ორი საუკეთესო გუნდი გააგრძელებს).

რსფსრ-ს ნაკრებმა დაამარცხა ტაჯიკეთი — 5:2 (ერთი პარტია გადაიდო), მოსკოვმა — ესტონეთი — 4,5:1,5 (გადაიდო 2 პარტია).

ქვეჯგუფში ლიდერობს რსფსრ-ს ნაკრები — 20 (7), II ადგილზეა საქართველოს ნაკრები — 17 (6), მესამეზე — მოლდავეთი—13,5 (5); შემდეგ მოდიან: მოსკოვი — 12 (8), ტაჯიკეთი — 8,5 (5), ესტონეთი — 5,5 (7).

საკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" ჩვენი საქმიანობის ორიენტირია!

ვინ როგორ ფიქრობს

სოფელი უხმობს შეფებს

მინდა ყურადღება გავამახვილო დადგენილების იმ ნაწილზე, სადაც ნათქვამია, რომ საჭიროა გააქტიურდეს შემოქმედებითი ინტელიგენციის კულტურულ-საშეფო მუშაობა. ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა რიცხვს ეკუთვნიან და საშეფო მუშაობაში მათს აქტიურ მონაწილეობას შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს სოფლის ახალგაზრდობას. კონკრეტულად აი, რას ვფიქრობ: **ჩვენმა ცნობილმა ფალავნებმა, ოლიმპიურმა და მსოფლიო ჩემპიონებმა, რომლებიც უკვე ჩამოშორდნენ დიდ სპორტს, რატომ არ უნდა აიღონ შეფობა ამა თუ იმ რაიონზე ან სოფელზე, სადაც ჭიდაობა ოდითგანვე უყვართ?** თუ ასეთ მხარდაჭერას იგრძნობდნენ, ახალგაზრდა სპეციალისტებიც სიამოვნებით წავიდოდნენ სოფლად სამუშაოდ. ჭიდაობას მაგალითად ვამბობ, თორემ ასეთი საქმე სპორტის ყველა სახეობის წარმომადგენლებისთვის გამოჩნდება. რესპუბლიკაში უკვე გამოიკვეთა ბევრი ისეთი რეგიონი, სადაც მეტწილად სპორტული თამაშები, ძალოსნობა, ძლეოსნობა, კრივი თუ ველოსპორტი იტაცებს ახალგაზრდებს. თუ ეს საკითხი დროულად და გონივრულად მოგვარდა, დარწმუნებული ვარ, ქართულ სპორტს ტალანტები არ მოაკლდება.

თამაზ ნიკოლეიშვილი,
სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს" რესპუბლიკური საბჭოს განყოფილების უფროსი.

გამაჯანსაღებელი ჯგუფებიც გავხსნათ

კულტურის სახლებთან და კლუბებთან, რამდენადაც ვიცი, ნებადართულია ფასიანი წრეების მუშაობა, რომელთა წევრები დადგენილი წესით გარკვეულ თანხას იხდიან ამა თუ იმ ხელობისა თუ ხელსაქმის შესწავლაში (მანქანაზე ბეჭდვა, ქსოვა, ჭრა-კერვა, გიტარაზე დაკვრა, ცეკვა და ა. შ.). ადრე არავის მოსდიოდა აზრად ან შეიძლება ვერც ბედავდნენ მომსახურების ასეთივე პრინციპით გამაჯანსაღებელი ჯგუფების გახსნას. გამოუყენებელი რჩებოდა კულტურის სახლებისა და კლუბების დიდი შესაძლებლობები.

ახლა ყოველგვარი პირობაა შექმნილი საიმისოდ, რომ კულტურულ დაწესებულებებში ფიზიკური კულტურაც დავნერგოთ.

მედეა ტარუაშვილი.
დიასახლისი, თბილისი.

კარგს მართლაც ნუღარ ჩავკეტავთ

მახსოვს, შარშან „ლელოში" გამოქვეყნდა წერილი — „მეზობელო, გახსენ კარი". წერილში ნათქვამი იყო, რომ ორგანიზაციებმა, რომლებსაც თავიანთი სპორტული ბაზები აქვთ, დახმარების ხელი მეზობლებსაც უნდა გაუწოდონ, თუ მათ ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გასაშლელად პირობები არ გააჩნიათ. მაშინ ეს შეიძლება ვინმეს გადაჭარბებულადაც მოეჩვენა, მაგრამ აი ახლა დადგენილებაში პირდაპირ არის ჩაწერილი: **„გათვალისწინებულია უფრო აქტიურად დაინერგოს პრაქტიკაში კულტურის სასახლეების, სახლების, კლუბებისა და სპორტული ნაგებობების მოვლასა და გამოყენებაში იმ საწარმოთა წილობრივი მონაწილეობის გამოცდილება, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი კულტურისა და სპორტის დაწესებულებები..."** როგორც ხედავთ, უწყებრივი ბარიერები უნდა მოიშალოს; რაღა თქმა უნდა, წილობრივი მონაწილეობით სპორტული ბაზების და კულტურის კერების დატვირთვა გაიზრდება, — ეს კერები სულ უფრო მეტ ხალხს მოემსახურება.

ბუდუ ქემოკლიძე,
„სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს უფროსი ინსტრუქტორი.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

გვექნება საინფორმაციო ჯიხური

რუბრიკით „ვინ როგორ ფიქრობს" ჩვენი გაზეთის 18 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც წამოყენებული იყო წინადადება თბილისში „ჯანმრთელობის ინფორმაციის სამსახურის" შექმნის შესახებ. გუშინ თბილისის სპორტკომიტეტიდან გვაცნობეს, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით აგვისტოს ბოლომდე კიროვის სახელობის პარკთან დაიდგმება ჯიხური, სადაც გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მეცადინეობის მსურველნი მიიღებენ მათთვის სასურველ ინფორმაციას. მაგალითად, აქ ზუსტად გვეტყვიან, სად რა გამაჯანსაღებელი ჯგუფი მუშაობს, როგორია მომსახურების პირობები, რა ღირს აბონემენტი და ა. შ.

სამუშაოების ჩატარება დავალებული აქვს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს ქალაქის გაფორმების კომბინატს. სამუშაოთა შემკვეთია თბილისის სპორტკომიტეტი.

„განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის თანამედროვე ეტაპზე ნამდვილად მასობრივი ფიზიკური კულტურა და სპორტი სულ უფრო მზარდ როლს ასრულებენ საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის ამაღლების, შრომითი კოლექტივების სოციალურ-კულტურული განვითარების, ადამიანთა ჯანმრთელობის განმტკიცებისა და დაცვის, მათი ჰარმონიული განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში".

-1984 წლის 21 იანვრის რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების დადგენილებიდან.

თუ ჩანაფიქრი საქმედ იქცა

რესპუბლიკურ შეჯიბრებებში თბილისის გუნდები ხშირად აშკარად სჯობნიან საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონების ნაკრებებს. ეს უპირატესობა ყველაზე გამოკვეთილად სპორტის იმ სახეობებში ჩანს, რომელშიც სათანადო ბაზისა და თანამედროვე ინვენტარის გარეშე სპორტსმენს ვერ მოამზადებ. სწორედ ამ საშუალებებს არიან მოკლებული რაიონების სპორტსმენები და მწვრთნელები, თორემ ენთუზიაზმი და ინტერესი მათ თბილისელ „კოლეგებზე" ნაკლები როდი აქვთ.

საჩხერელმა სპორტსმენებმა ჭაბუკთა I რესპუბლიკურ თამაშებზე საერთო გუნდურ ჩათვლაში 20-მდე რაიონი ჩამოიტოვეს. წარმატება იმან განაპირობა, რომ რაიონში ამ ბოლო ხანებში საგრძნობლად გამოცოცხლდა მუშაობა. საჩხერეში მუშაობს ახალგაზრდა ენთუზიასტ მწვრთნელთა ჯგუფი სპორტკომიტეტის თავმჯდომარის თამაზ ლაშხის მეთაურობით. სხვათა შორის, საჩხერელებს მშვენიერი ფეხბურთის მოედანი აქვთ და რაკი ფეხბურთი გამორჩეულად უყვართ, სტადიონსაც გულმოდგინედ უვლიან. მისი მინდორი მთელს რესპუბლიკაში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. ამ სტადიონზე გამართულ ფეხბურთის დღისადმი მიძღვნილ ზეიმში 2000-მდე კაცმა მიიღო მონაწილეობა. აქაური ფეხბურთელები წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა შეჯიბრებებში. საჩხერის გუნდი „ჩიხურა" მოწინავეა საქართველოს პირველობაზე II ჯგუფის ცენტრალურ ზონაში. რაიონის მკვიდრი ნიკა ჩხაიძე საკავშირო თამაშებზე იცავს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ღირსებას. საქართველოს სოფლის სპორტსმენთა ნაკრებში არიან სოსო თურმანიძე, კობა კაპანაძე და კახა კილურაძე, მამუკა გაფრინდაშვილი კი „სიჭაბუკის" თასისთვის მებრძოლ საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში გამოდის.

როგორც ხედავთ, ფეხბურთელებს ურიგოდ არა აქვთ საქმე, მაგრამ სპორტის სხვა სახეობით გატაცებულთ მძიმე პირობებში უხდებათ ვარჯიში. მიუხედავად ამისა, აქაური ძალოსნები ფეხბურთელებზე მეტ წარმატებებს აღწევენ. სპორტის მოყვარულთათვის კარგადაა ცნობილი რაიონის მკვიდრის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ამირან ჭიტაძის სახელი. აქვე აღიზარდნენ თამაზ ლაშხის მოწაფეები სპორტის ოსტატები ელგუჯა დვალი, თამაზ დეკიძე, გია ჭიტაძე, გელა მიშველაძე, პაატა კვიჟინაძე, იაშა გაფრინდაშვილი, გერონტი დვალი და სხვა. არადა, მათ ერთი ხეირიანი დარბაზიც კი არა აქვთ, ყველაფერი მხოლოდ სპორტისადმი დიდმა სიყვარულმა შეაძლებინათ. ერთი სიტყვით, ბაზები რომ ჰქონოდათ საჩხერელებს, იქნებ სხვა სახეობებშიც ესახელებინათ თავი. უფრო ფართოდ მიიზიდავდნენ მშრომელებს მასობრივ-გამაჯანსაღებელ მუშაობაში. და აი, რაიონის ხელმძღვანელობამ სერიოზულად იმსჯელა ამ საკითხზე და გადაწყვიტა სპორტული ბაზებისათვის მიეხედა. საჩხერის ძველ სტადიონზე მალე მოეწყობა მძლეოსნური სექტორი, დაიწყება 50-მეტრიანი დახურული აუზის, ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის მოედნების მშენებლობა, მწყობრში ჩადგება ტირიც. ახლა საჩხერელები მშენებლობის იმედად არიან — თუ ისინი დროულად და კარგად გაართმევენ თავს საქმეს, სულ მალე რაიონის სპორტსმენები კიდევ უფრო სასახელო წარმატებებს მიაღწევენ, უფრო თვალსაჩინო გახდებოდა ის დიდი სოციალურ-ეკონომიკური სიკეთე, რაც ფიზკულტურასა და სპორტს მოაქვს.

ზაზა კახაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.)

მკითხველი — გაზეთი

● **ძვირფასო რედაქცია! იქნებ გვიპასუხოთ რა საშუალებებია უფრო ეფექტური სიმსუქნის წინააღმდეგ ბრძოლაში?**

ეთერ და თინა ნოდიები.
თბილისი.

— სიმსუქნის წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდებითა და საშუალებებით. ზოგნი კვების გარკვეულ რეჟიმს მიმართავენ, ზოგნი — დღის სპეციალურ რეჟიმს, მაგრამ ყველაზე ეფექტურ საშუალებად მაინც ფიზიკური კულტურა და სპორტია მიჩნეული (დილის გამამხნევებელი ვარჯიშებიდან დაწყებული, სპორტის რომელიმე სახეობაში რეგულარული ვარჯიშით დამთავრებული). 30-წუთიანი სისტემატური ვარჯიშის შედეგად ადამიანი ჰკარგავს კალორიების გარკვეულ რაოდენობას და, მაშასადამე, ზედმეტ გრამებსაც.

გრაფიკულად ეს პროცესი ასე შეიძლება გამოისახოს: ველოსიპედისტი 30 წუთის მანძილზე 585 კალორიას ჰკარგავს, მოცურავე — 680-ს, ტანმოვარჯიშე — 730-ს, კალათბურთელი — 800-ს, ჩოგბურთელი — 810-ს, ნიჩბოსანი — 1300-ს და ა. შ.

კალორიების ასეთ რაოდენობას მხოლოდ ნამდვილი სპორტსმენები როდი ჰკარგავენ. ეს გაანგარიშება ჩვეულებრივ მოკვდავებზეც ვრცელდება. რაც შეეხება შეჯიბრებას, ამ დროს გაცილებით ბევრი კალორია იხარჯება. ამერიკელი მედიკოსების გამოანგარიშებით სპრინტერთა ერთსაათიანი შეჯიბრებისას 9000-მდე კალორია იკარგება, მოკლე მანძილზე ცურვისას — 3000 კალორია, საშუალო მანძილებზე რბენისას სპორტსმენს შედარებით ნაკლები ენერგია ეხარჯება (მხოლოდ 800 კალორია), ფეხბურთელები და მოჭიდავეებიც ერთ საათში დაახლოებით ამდენივე კალორიას ჰკარგავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური უნივერსიადა-85

ყველა სტუდენტი თავის სასწავლებლის ღირსებას იცავდა

რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების ხელმძღვანელები ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას იმის თაობაზე, რომ ცნობილი სპორტსმენები, რომლებსაც ყველანაირად უწყობენ ხელს თავიანთ სასწავლებლებში, მშობლიურ კოლექტივს, სამწუხაროდ, არაფერში არგიან. მართლაც და, აქამდე ყველა სტუდენტ სპორტსმენს როდი შეეძლო „ბურევესტნიკის" მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზე თავისი ინსტიტუტის სპორტული ღირსება დაეცვა. ეს იმიტომ, რომ ისინი სხვადასხვა სპორტსაზოგადოებებში არიან გაერთიანებული და ვალდებული არიან მხოლოდ თავიანთი კოლექტივის სპორტულ ღირსებაზე იზრუნონ.

და აი, წლეულს მდგომარეობა შეიცვალა. ახლახან დამთავრდა რესპუბლიკის „უნივერსიადა-85", რომელშიც დაუშვეს ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი სპორტსმენები, განურჩევლად იმისა, რომელ სპორტსაზოგადოებებს ეკუთვნოდნენ ისინი. უნივერსიადაც გაცილებით საინტერესოდ ჩატარდა — გამოჩნდა თუ რომელ უმაღლეს სასწავლებელს ჰყავს ყველაზე მეტი კარგი სპორტსმენი.

უნივერსიადის ფინალში 1874 სპორტსმენი მონაწილეობდა. მათგან 1 600 ბურევესტნიკელი, დანარჩენი 265 სხვადასხვა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებათა წარმომადგენელი იყო. მათგან ოთხი საერთაშორისო კლასის, 165 კი სპორტის ოსტატი გახლდათ.

უნივერსიადის პროგრამაში 19 სახეობა იყო. ფინალური შეჯიბრება თბილისის, სოხუმის, გორის, ცხინვალის, თელავისა და ფოთის სპორტულ ბაზებზე გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებათა მასპინძელი ქალაქების ხელმძღვანელობამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ასპარეზობა მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებულიყო.

ბუნებრივია, ყველაზე დიდ ინტერესს I ჯგუფის გუნდების გამოსვლა იწვევდა. აქ ადგილები ასე განაწილდა: 1. **საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი (9304,3 ქულა), 2. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (5 312,5), 3. თბილისის უნივერსიტეტი (3 412),** 4. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი (1 443,3), 5. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (1 064,5).

II ჯგუფში მოასპარეზე გუნდები სატურნირო ცხრილში ასე განლაგდნენ: **1. აფხაზეთის უნივერსიტეტი (2 039,8), 2. ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (2 021,8), 3. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი (1482,3),** 4. საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი (1170), 5. გორის პედაგოგიური ინსტიტუტი (700), 6. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი (634), 7. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი (600,3), 8. ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტი (561,3) 9. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი (214,5), 10. სოხუმის სუბტროპიკული ინსტიტუტი (130).

III ჯგუფი საბოლოოდ ასე გამოიყურება: 1. **თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტი (521,1), 2. თბილისის სამხატვრო აკადემია (370), 3. კონსერვატორია (322),** 4. საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი (180).

შეჯიბრების მონაწილეთაგან 14-მა სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენა, რაც აშკარად ცოტაა, მაგრამ მაინც წინ გადადგმული ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან შარშან სტუდენტთა რესპუბლიკურ ასპარეზობაზე სპორტის ოსტატის ნორმა მხოლოდ ორმა შეასრულა.

სხვათა შორის, უნივერსიადის **პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობაში მხოლოდ ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი მონაწილეობდა.** ცალკეული სახეობების მიხედვით გუნდურ პირველობაში მათ ჩვიდმეტი პირველი ადგილი დაიკავეს, ოთხ სახეობაში მეორენი იყვნენ, ერთხელაც მესამეზე აღმოჩნდნენ.

საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა ერთით ნაკლებ სახეობაში მიიღო მონაწილეობა. საბოლოოდ ამ გუნდმა სამი პირველი, ცამეტი მეორე და ხუთი მესამე ადგილი დაიკავა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში შეჯიბრების მესამე პრიზიორმა — თბილისის უნივერსიტეტმა სამჯერ იზეიმა გამარჯვება, ორჯერ მეორე იყო, ექვსჯერ — მესამე.

შეჯიბრებაში სხვებთან შედარებით უფერულად გამოვიდა თეატრალური ინსტიტუტის გუნდი, რომლის წარმომადგენლები მხოლოდ ორ სახეობაში მონაწილეობდნენ. არც კონსერვატორიის, სუბტროპიკული (3-3), უცხო ენების, სამხატვრო აკადემიის (5-5), თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის (6), საქართველოს ზოოტექნიკურ- სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის (7) კოლექტივებს გამოუჩენიათ თავი.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებმა ცალკე შეაჯამეს ბურევესტნიკელ სპორტსმენთა მაჩვენებლები. I ჯგუფში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **1. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (4 148,5), 2. ფიზკულტურის ინსტიტუტი (4028), 3. უნივერსიტეტი (2846).** მეორე ჯგუფში გამარჯვებული გამოვიდა **ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი,** ხოლო მესამეში — **უცხო ენათა ინსტიტუტი.**

ნილოვან კალანდაძე,
უნივერსიადის მთავარი მსაჯი.

საქართველოს პირველობა

განვლილ შაბათ-კვირას შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები.

I ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

„ქართლი" (გორის რაიონი) — „არმაზი" (მცხეთა) 1:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი). ბურთი გაიტანა ნოზაძემ.

„კახეთი" (თელავი) — „ავტომობილისტი" (თბილისი) 1:2. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).

გააფრთხილეს „ავტომობილისტის" ფეხბურთელები რ. ბერიკაშვილი, თ. ელყანიშვილი, ნ. კახიშვილი, აგრეთვე, თელაველი ზ. ჯაშიაშვილი.

„მეტალურგი" (რუსთავი) — „ივერია" (ხაშური) 2:0. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი). გოლები: ავაქიანი, კიტეიშვილი.

„სპარტაკი" (ცხინვალი) — „არაგვი" (დუშეთი) 3:1. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი). გოლები: ჩოჩიევი-2, ალბოროვი („სპარტაკი"), უთრუგაშვილი („არაგვი").

„დურუჯი" (ყვარელი) — „იმედი" (თბილისი) 0:0. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 ივლისისთვის

აღმოსავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ:
„მეტალურ."	19	12	4	3	39-17	28
„კახეთი"	19	10	2	7	32-25	22
„დურუჯი"	20	7	8	5	33-34	22
„შევარ."	17	8	5	4	33-18	21
ფიზკ. ინს.	19	8	5	6	40-36	21
„ავტომობ."	20	7	7	6	30-30	21
„ივერია"	20	6	9	5	23-24	21
„მადნეული"	19	8	3	8	36-32	19
„არმაზი"	20	8	3	9	24-27	19
„სპარტაკი"	20	6	7	7	36-38	19
„იმედი"	20	5	8	7	30-30	18
„ქართლი"	20	7	1	12	26-41	15
„ჰერეთი"	19	4	6	9	33-41	14
„არაგვი"	29	3	6	11	22-44	12

დასავლეთი ზონა

„შადრევანი" (წყალტუბო) — „მალაროელი" (ჭიათურა) 2:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). გოლები: გოგოლაძე, გვაძაბია („შადრევანი"), კაპანაძე („მალაროელი").

გააფრთხილეს ჭიათურელი ფეხბურთელები თ. გაფრინდაშვილი და ზ. მახათაძე.

„სულორი" (ვანი) — „დინამო" (გაგრა) 1:0. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი). ბურთი გაიტანა სულაბერიძემ.

მინდვრიდან გააძევეს ვანელი ო. გეფერიძე და გაგრელი მ. ტუისუზიანი.

„იმერეთი" (ქუთაისი) — „მზიური" (გალი) 1:0. მსაჯი დ. მენთეშაშვილი (თბილისი). ბურთი გაიტანა გოგისვანიძემ.

„ეგრისი" (ცხაკაია) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:0. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი). ბურთი გაიტანა კირთაძემ.

„ბახმარო" (ჩოხატაური) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 3:3. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი). გოლები: ჯავახაძე, გიორგაძე, ოსეფაიშვილი („ბახმარო"), ციმაკურიძე, ახალაია-2 („სამეგრელო").

„სქური" (წალენჯიხა) — „საპოვნელა" (თერჯოლა) 1:0. მსაჯი ა. ბაჩუკაშვილი (თბილისი). ბურთი გაიტანა აბრალავამ.

„დინამო" (ზუგდიდი) — „კოლხეთი" (ხობი) 1:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). ბურთი გაიტანა ბიგვავამ.

გააფრთხილეს ხობელი თ. ბოლაშვილი და ზუგდიდელი მ. ანთია.

დასავლეთი ზონა

„შადრ."	17	11	2	4	36-20	24
„მეტალურ."	18	10	2	6	30-22	22
„ეგრისი"	19	9	3	7	29-27	21
„დინამო" გ.	19	8	5	6	27-27	21
„ამირანი"	19	8	4	7	35-23	20
„სულორი"	17	7	4	6	24-18	18
„კოლხეთი"	18	7	4	7	25-25	18
„ბახმარო"	19	7	4	8	24-29	18
„საპოვნ."	17	7	3	7	24-24	17
„დინამო" ზ.	18	6	5	7	31-32	17
„იმერეთი"	18	6	5	7	26-29	17
„სამეგრ."	18	7	2	9	23-26	16
„სქური"	18	6	3	9	31-41	15
„მზიური"	19	5	4	10	28-39	14
„მალარ."	18	5	4	9	27-38	14

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა. „გარეჯი" (საგარეჯო) — „აკრიანი" (მარტყოფი) 3:0, „თრიალეთი" (წალკა) — „იორი" (თიანეთი) 3:1, „ალგეთი" (მარნეული) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 3:2.

ცენტრალური ზონა. „აბული" (ახალქალაქი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 3:2, „მშენებელი" (ჭიათურა) — „იბერია" (ქარელი) 4:1, „ჩიხურა" (საჩხერე) — „ხვამლი" (ცაგერი) 4:2.

დასავლეთი ზონა. „სუბტროპიკი" (სოხუმი) — „ენგური" (ზუგდიდი) 2:1, „ავტომობილისტი" (აბაშა) — „მეშახტე" (ტყვარჩელი) 2:1, „კოლმეურნე" (გულრიფში) — „ნაპერწკალი" (ოჩამჩირე) 2:2, „ოდიში" (კახათი) — „კოლხეთი-მშენი" (ფოთი) 5:4, „ნარინჯი" (ნატანები) — „აკავრეთა" (ქედა) 7:1, „ნარინჯი" (ქობულეთი) — „ჩ ბათი" (ლანჩხუთი) 1:0, „სალხ..." (გეგეჭკორი) — „გიგანტი" (...თური) 1:0.

ლახტის წრეში



მოედანზეა... უცნაური შემადგენლობა

არუხლო შეძლებული სოფელია ბოლნისის რაიონში. აქ არის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, საყოფაცხოვრებო ობიექტები, სპორტული ბაზები. კოლმეურნეობამ თავის დროზე ხარჯები გაიღო, რომ სოფელს თანამედროვე სპორტული კომპლექსი ჰქონოდა. ტერიტორია შემოღობეს კიდეც, მაგრამ სპორტულ მოედანზე იშვიათად თუ ნახავთ მოვარჯიშე ან მოასპარეზე ახალგაზრდებს. სამაგიეროდ, სპორტული კომპლექსის ჭიშკარს ყოველ დილით თავაზიანად უღებენ პირუტყვს, შერეკავენ „სპორტულ-საძოვარზე" და დაბინდებისას მიაკითხავენ პატრონები. ეს ფოტოსურათი გასულ კვირა დღესაა გადაღებული. როგორც ხედავთ, იმ დღესაც სპორტულ მოედანზე ასეთი უცნაური შემადგენლობის გუნდი დანავარდობდა.

ფინალური საგზური მოიპოვეს

ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო პირველობა ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული სპორტსკოლების გუნდებს შორის თებერვლიდან მიმდინარეობს. ასპარეზობა ზონალური შეჯიბრებებით დაიწყო. ამიერკავკასიის ზონაში უფროსი ასაკის რვა გუნდი თამაშობდა: თბილისის „დინამოსა" და განათლების სამმართველოს სპეციალიზებული სპორტსკოლის კოლექტივები, ქუთაისის „ტორპედო", ბათუმის „დინამო", აბოვიანის „კოტაიკი", ბაქოს „ნეფთჩი" და ერევნის ორი გუნდი — „არარატი" და სპორტინტერნატი. ნახევარფინალური ტურნირის ორი საგზურის მფლობელთა გამოსავლენად ჭაბუკმა ფეხბურთელებმა ორწრიანი ტურნირი გამართეს. 14 შეხვედრიდან 21 ქულით პირველი ადგილი დაიკავეს თბილისის დინამოელებმა, ...ომლებმაც ერევნის სპორტინტე...ის კოლექტივთან ერთად ნა...ვარფინალში თამაშის უფლება ...ოვეს.

ნახევარფინალური შეჯიბრებები სამ ქალაქში ჩატარდა. თბილისის „დინამო" ცსკა-სთან, დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან", ლენინგრადის „სმენასთან" და ტაშკენტის „ფახთაქორთან" ერთად უზბეკეთის დედაქალაქში გამოდიოდა. იმის გამო, რომ იმ პერიოდში საქართველოს ნაკრები ჭაბუკთა პირველი სპორტული თამაშებისთვის ემზადებოდა, დინამოელები შესუსტებული შემადგენლობით გაემგზავრნენ ტაშკენტში. მაგრამ ჩვენმა ჭაბუკებმა მაინც გაართვეს თავი დასახულ ამოცანას და ფინალის საგზური მოიპოვეს. ნახევარფინალში მათ დაამარცხეს ცსკა და „სმენა" (ორივე—1:0), ფრედ ითამაშეს „ფახთაქორთან" (0:0) და „დნეპრთან" (2:2). დინამოელებთან ერთად ფინალში იასპარეზებს „ფახთაქორიც". სხვა ნახევარფინალურ ჯგუფებში წარმატება ხვდათ კიევის „დინამოს", მოსკოვის ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდს, ფრუნზეს „ალგასა" და ორჯონიკიძის „სპარტაკს".. ეს გუნდები 1-11 ოქტომბერს გამართავენ ფინალურ შეჯიბრებას, რომელიც დაასახელებს ჩემპიონსა და პრიზიორებს.

ტაშკენტში ჩვენი ჭაბუკები ასეთი შემადგენლობით ასპარეზობდნენ: მეკარეები გ. კოპალეიშვილი და ქ. მუხაშავრია, მცველები კ. სიჭინავა, გ. გომელაური, გ. პაპალოვი, გ. ფრუიძე, ზ. მოწონელიძე, დ. კალანდაძე, ნახევარმცველები მ. დოლიძე, ბ. ქაფიანიძე, პ. მეტრეველი, გ. მღვდელაძე, თავდამსხმელები მ. ამისულაშვილი, ზ. ჯორბენაძე, მ. მაღრაძე, დ. სალინაძე (სხვათა შორის, ნახევარფინალურ ტურნირში ჩვენი გუნდის მიერ გატანილი ოთხვე გოლი ამ უკანასკნელს ეკუთვნის).

თბილისის „დინამოს" გუნდი (სპორტსკოლის დირექტორი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ომარ უშვერიძე) შეჯიბრებისთვის მოამზადეს მწვრთნელებმა რ. გაგუამ და თ. ...რკვიანმა.

საზონათშორისო ტურნირი

ეს მოხდა ცაიტნოტში

ბილი (შვეიცარია). მოჭადრაკეთა საზონათშორისო ტურნირში XII ტურის პარტიები გათამაშდა.

12 ტურის შემდეგ რაფაელ ვაპანიანს 9 ქულა აქვს, ჯონ ვან დერ ვილს (ჰოლანდია) — 8, ეუგენიო ტორეს (ფილიპინები) — 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია. ანდრეი სოკოლოვს, ლიუბომირ ლიუბოევიჩს (იუგოსლავია) და იასერ სეირავანს (აშშ) — 7-7 (1-1), ლევ პოლუგაევსკი და ნაიჯელ შორტს (ინგლისი) — 6,5-6,5.

ამ დღეს ვაპანიანი დაუზავდა როდრიგესს (კუბა), ვანდ დერ ვილმა მოუგო იანსას (ჩეხოსლოვაკია), სეირავანმა — კინტეროსს (არგენტინა).

პოლუგაევსკის წაგება ჩაეთვალა საქსთან (უნგრეთი), რადგან მსაჯების აზრით მას საათზე ალამი ჩამოუვარდა. მაგრამ პოლუგაევსკიმ გააპროტესტა: ალმის ჩამოვარდნის დროს მას 40-ზე მეტი სვლა ჰქონდა გაკეთებული. პროტესტს განიხილავს სააპელაციო კომიტეტი.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს შორტმა მოუგო კინტეროსს, დაზავდნენ სოკოლოვი იანსა.

შეჯიბრების დამთავრებამდე ოთხი ტური დარჩა.

მეორე შეხვედრაც მოიგო

ამსტერდამში გრძელდება საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი. დიდ ინტერესს იწვევს მთავარი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ მსოფლიო ჩემპიონი ანატოლი კარპოვი, იან ტიმანი (ჰოლანდია), ჯონ ნანი, ენტონი მაილსი (ორივე — ინგლისი), სლობოდან მარტინოვიჩი (იუგოსლავია) და ჟაიმე სუნიენეტო (ბრაზილია). მეტოქენი ორ-ორჯერ შეხვდებიან ერთმანეთს.

II ტურში კარპოვმა მოუგო სუნიე-ნეტოს, ტიმანმა — მარტინოვიჩს. გადაიდო ნან-მაილსის პარტია.

2 ტურის შემდეგ ანატოლი კარპოვს 2 ქულა აქვს.



თიანეთში სწორედ კარგ დროს ჩავედით.—აკრობატიკის რესპუბლიკური სკოლის შეგირდებს (დირექტორი მიხეილ გეგელია) იმ დღეს ბანაკის საზეიმო გახსნა ჰქონდათ. ღია ცის ქვეშ მოწყობილ სპორტულ მოედანზე ერთმანეთს ცვლიდნენ მომღერლები და მოცეკვავეები. პროგრამის ძირითად ნაწილს კი მაინც აკრობატული ნომრები შეადგენდა. მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობდა კრასნოიარსკის მხარის ქალაქ მინუსინსკის სკოლების 35 მოსწავლე. ისინი ივლისის თვეს სკოლა-ინტერნატში გაატარებენ... ჩვენი თანამემამულე სერგო სურგულაძე მეფის ხელისუფლებამ შორეულ ციმბირში — მინუსინსკში გადაასახლა. ოქტომბრის რევოლუციას იგი ამ ქალაქში მოესწრო, სადაც იგი პირველი რევკომის თავმჯდომარედ აირჩიეს. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სერგო სურგულაძე თიანეთის თემის კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა. 1923 წელს იგი ბანდიტებთან ბრძოლაში დაიღუპა. შარშან მინუსინსკის მშრომელთა თხოვნით მისი ნეშტი ციმბირში გადაასვენეს. ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩასა და მოედანს სერგო სურგულაძის სახელი ეწოდა ეს ამბავი დაედო საფუძვლად მინუსინსკის და თიანეთის ახალგაზრდობის მეგობრობას. წელს თიანეთელი მოსწავლეები მინუსინსკს ეწვევიან.

ახლა კი იმის შესახებ თუ როგორ ისვენებენ და ვარჯიშობენ აკრობატები. გვესაუბრება აკრობატიკის რესპუბლიკური სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე თეიმურაზ ცაბაძე.

— თიანეთში უკვე მეათე წელია დაგვყავს ბავშვები. ამ კუთხისა და ჰავის მადლიც არის ჩვენს სკოლაში შვიდი მსოფლიო ჩემპიონი რომ გაიზარდა. დღეს აქ სამასი აკრობატი ისვენებს და ვარჯიშობს. დილის ვარჯიშის გარდა, რომელიც 40 წუთს გრძელდება, სპორტსმენებთან ორჯერადი წვრთნა ტარდება. თავისუფალ დროს ვეხმარებით თიანეთის რაიონის სოფლის მშრომელებს მოსავლის აღებასა და დაბინავებაში. ხშირად დავდივართ მდინარე ფუსნოზე მოწყობილ საბანაოზე, ვეცნობით რაიონის ღირსშესანიშნაობებს. პერიოდულად ვატარებთ შეჯიბრებებს სხვადასხვა ასაკის სპორტსმენებს შორის.

ჯემალ კასრაძე.

სურათებზე: ერთი დღე თიანეთის სპორტულ გამაჯანსაღებელ ბანაკში. ავტორის ფოტოები.

„ოქროს თავთავის“ ფინალები

სპორტსაზოგადოება „უროჟაის“ საკავშირო ცენტრალური საბჭო ყოველწლიურად ატარებს მცირე „ოქროს თავთავის“ თასის გათამაშებას ფეხბურთში. შარშანდელისგან განსხვავებით, წლეულს შეჯიბრება მიმდინარეობს ორი ასაკის ბავშვთათვის, 1970-71 და 1972-73 წლებში დაბადებულთათვის. ასპარეზობაში გამოდიან მოკავშირე რესპუბლიკათა თასების მფლობელები.

უმცროსი ასაკის ზონალურ გათამაშებაში მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიის, საქართველოს, მოლდავეთის, ესტონეთისა და ლატვიის ნაკრები გუნდები. საქართველოს ფეხბურთელებმა ხუთივე შეხვედრა მოიგეს (ჩვენი რესპუბლიკის სახელით გამოდიოდა თბილისის „კოლმეურნის“ სამეფო სკოლის გუნდი, მწვრთნელი გ. გვანცელაძე), პირველი ადგილი დაისაკუთრეს და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს. მათთან ერთად ფინალში გამოვლენ რსფსრ-ისა და ლატვიის გუნდებიც. ფინალური გათამაშება ჩატარდება ჩრდილოეთ ოსეთის სოფელ ჩიგოლაში.

უფროსი ასაკის ფეხბურთელთა ზონალური პირველობა ჩატარდა სომხეთის ქალაქ მარტუნში. აქ გამოდიოდნენ ტაჯიკეთის, უზბეკეთის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის გუნდები.

სომხეთისა და საქართველოს ფეხბურთელებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით პირველ ადგილზე გავიდა სომხეთის გუნდი, მეორეზე — საქართველოსი. მათთან ერთად ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ უზბეკეთის ფეხბურთელებიც.

საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდა გალის მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი (დირექტორი ა. ბაქრაძე, მწვრთნელები ტ. ბოლაშვილი და ზ. მარაძე).

ამ ასაკის გუნდების ფინალური შეჯიბრება გაიმართება გურჯაანში. ზონაში გამარჯვებულებს დაემატება გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის კოლმეურნეობის გუნდიც, რომელიც ასპარეზობის მასპინძელია.

„ლელოს“ კორ.

ინფორმაცია

ნიცა. საფრანგეთის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მსოფლიო ჩემპიონმა, ინგლისელმა სტივ კრემმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა 1500 მეტრზე რბენაში — 3.29,67. მაროკოელი საიდ აოუიტა მას 0,04 წამით ჩამორჩა. ჭოკით მხტომელთა ასპარეზობაში გაიმარჯვა მსოფლიო რეკორდსმენმა სერგეი ბუბკამ — 595 სმ. მეორე ადგილზეა ფრანგი პიერ კინონი — 590 სმ.

MEXICO86

მრავალსაფეხურიანი შერჩევა — ორი საგზურისთვის

1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში, რომელიც მექსიკაში გაიმართება, აზიის ორი ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. ამ გუნდების შესარჩევად ბრძოლა მრავალსაფეხურიანი სისტემით მიმდინარეობს.

თავდაპირველად მონაწილენი ოთხ ჯგუფად გაჰყვეს. თითოეული ჯგუფი ორ-ორი ქვეჯგუფისაგან შედგებოდა. ქვეჯგუფებში გამარჯვებულებს შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მიეცათ.

პირველი ჯგუფის „ა“ ქვეჯგუფში საუდის არაბეთის, არაბთა გაერთიანებული საემიროებისა და ომანის გუნდები მოხვდნენ. რადგან ომანის ნაკრებმა უკანასკნელ მომენტში თამაშზე უარი განაცხადა, ბრძოლა მხოლოდ ორმა გუნდმა გააგრძელა. აქ უპირატესობა არაბთა გაერთიანებული საემიროების ნაკრებს ჰქონდა (0:0, 1:0).

პირველი ჯგუფის „ბ“ ქვეჯგუფში ერაყის, კატარის, იორდანიისა და ლიბანის გუნდებს უნდა ეთამაშათ. ლიბანელებმა დაიწყეს შეჯიბრება, ოთხი მატჩი წააგეს და ორ დანარჩენზე უარი განაცხადეს. მაშინ ფიფა-მ მათი ადრინდელი შედეგებიც გააუქმა და ლიბანელები გათამაშებას გამოეთიშნენ.

საბოლოოდ გაიმარჯვეს ერაყელმა ფეხბურთელებმა, რომელთაც 4 მატჩში 6 ქულა მოაგროვეს (3 მოგება და 1 წაგება). კატარის ნაკრებმა 4 ქულა მოაგროვა, იორდანიის გუნდმა — 2.

მეორე ჯგუფის „ა“ ქვეჯგუფში (სირია, ქუვეიტი, იემენის არაბთა რესპუბლიკა) იემენელებმა ოთხივე მატჩი წააგეს. სირიელებმა სამი ქულა მოიპოვეს ქუვეიტის ნაკრებთან შეხვედრაში (1:0, 0:0), საბოლოოდ 7 ქულა მოაგროვეს და ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს.

მეორე ჯგუფის „ბ“ ქვეჯგუფში ირანის, ბახრეინისა და იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდებს უნდა ეთამაშათ. ირანელები ნეიტრალურ მინდვრებზე თამაშს მოითხოვდნენ და როცა უარი მიიღეს, დატოვეს შეჯიბრება. ბახრეინის გუნდმა კი აჯობა იემენის ნაკრებს (3:3, 4:1).

მესამე ჯგუფის „ა“ ქვეჯგუფში (სამხრეთ კორეა, მალაიზია, ნეპალი) პირველ ადგილზე 6 ქულით სამხრეთკორეელები გავიდნენ. მალაიზიელებს 5 ქულა აქვთ, ნეპალელებს — 1.

მესამე ჯგუფის „ბ“ ქვეჯგუფში ოთხი ნაკრები თამაშობდა — ინდონეზიის, ინდოეთის, ბანგლადეშისა და ტაილანდისა. აქ გადამწყვეტი გამოდგა ინდონეზიისა და ინდოეთის გუნდების ორი მატჩი. ინდონეზიელებმა ამ შეხვედრებში 3 ქულა მოიპოვეს (2:1, 1:1), საერთოდ კი 9 ქულა მოაგროვეს და პირველ ადგილზე გავიდნენ. ინდოელებს 7 ქულა აქვთ, ბანგლადეშელებს — 4, ტაილანდელებს — 3.

მეოთხე ჯგუფის „ა“ ქვეჯგუფში (ჩინეთი, ჰონკონგი, მაკაო, ბრუნეი) გადამწყვეტი ჩინეთისა და ჰონკონგის ნაკრებთა შეხვედრა იყო. მას შემდეგ, რაც ჰონკონგში მატჩი ფრედ (0:0) დამთავრდა, ჩინელებს საგზურის მოპოვების დიდი იმედი მიეცათ, მაგრამ თავის მინდორზე წააგეს (1:2). ამ შეხვედრაში, როგორც მიმომხილველები წერდნენ, „დავითმა სძლია გოლიათს“. საბოლოოდ ჰონკონგის გუნდმა 9 ქულა მოაგროვა, ჩინელებმა — 7, მაკაოს ნაკრებმა — 4, ბრუნეის ნაკრებმა კი ყველა შეხვედრა წააგო.

მეოთხე ჯგუფის „ბ“ ქვეჯგუფში (იაპონია, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, სინგაპური) იაპონელებს კორეელებთან უპირატესობის მოპოვების შემდეგ (1:0, 0:0) სერიოზული წინააღმდეგობა აღარ შეხვედრიათ და 7 ქულით პირველ ადგილზე გავიდნენ. კორეელები 4 ქულით მეორენი იყვნენ, სინგაპურელებს კი ერთი ქულა აქვთ.

ამრიგად, ზაფხულის დამდეგისათვის დამთავრდა მრავალსაფეხურიანი ტურნირის პირველი ეტაპი. ახლა ბრძოლა 30 სექტემბრამდე გაგრძელდება. სათასო სისტემით ერთმანეთს ორ-ორჯერ შეხვდებიან: არაბთა გაერთიანებული საემიროებისა და ერაყის, სირიისა და ბახრეინის, სამხრეთ კორეისა და ინდონეზიის, ჰონკონგისა და იაპონიის ნაკრები გუნდები. ამრიგად, გამოვლინდებიან გამარჯვებულები ოთხივე აზიურ ჯგუფში. შემდეგ, 1 ოქტომბრიდან მოყოლებული, დაინიშნება დასკვნითი ეტაპის შეხვედრები პირველ და მეორე, მესამე და მეოთხე ჯგუფებში გამარჯვებულებს შორის. ორი უძლიერესი გუნდი კი მექსიკაში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

ბიჭი ბამრეკელი.



ცენტრალური ტელევიზია. 18 ივლისი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); მხიარული სტარტები — 16.45 (1); საჭადრაკო სკოლა — 19.20 (2); ჯანმრთელი რომ იყო — 20.00 (1); რიტმული ტანვარჯიში — 21.15 (2).

საქართველოს ტელევიზია. 18 ივლისი. „ფიზიკური და სულიერი სრულყოფისათვის“ — 21.00.

რედაქტორის მოადგილე
თ. ბაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უ 06266